ს.ს.,,ენერგოკავშირი"

2020 წლის ინდივიდუალური

ფინანსური ანგარიშგება

CHOKHI AUDIT
Accounting And Consulting

აუდიტური ფირმა შ.პ.ს. „ჩოხი“.
ქ.თბილისი, ცხრა ძმის ქ.№16

ა უ დ ი ტ ო რ უ ლ ი დ ა ს კ ვ ნ ა

ს.ს. ”ენერგოკავშირი”-ს სამეთვალყურეო საბჭოს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე 2;
2. აუდიტორის პასუხისმგებლობა 2-3;
3. აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე 3;
4. ზოგადი ინფორმაცია 4;
5. ინფორმაცია ს.ს. ”ენერგოკავშირი”-ს აქციონერების წილების შესახებ 4-5;
6. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 5- 6;
7. საქმიანობის შედეგები 6-9;
8. ფულადი სახსრების მოძრაობა 9;
9. კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 10-12;
10. ანგარიში ძირითადი საშუალებების შესახებ 12-14;
11. ბიუჯეტთან ანგარიშსწორება 14-15
12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 15;

2021 წლის 20 აპრილს შპს "ჩოხი"-სა და სს "ენერგოკავშირი"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება №16-ის თანახმად, ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 30 დეკემბრის №№ 484, 485 ბრძანებები, სარეგისტრაციო №№ saras-a-866079 და saras-f-621788).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძრვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს საზოგადოების საქმიანობის უწყვეტობის უნარი, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძრვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს საზოგადოების ლიკვიდაცია, ან შეწყვიტოს ოპერაციაბი, ან არ ექნება სხვა რეალური ალტერნატივა ზემოთ აღნიშნული ქმედებების გარდა.

ასეთი პასუხისმგებლობა გულისხმობს უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უსუზტობების გარეშე შედგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენის მიზნით შიდა კონტროლის მექანიზმების შემუშავებას, დანერგვასა და განხორციელებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა.

აუდიტორი ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.
ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები.

გ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულობების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა

და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებით უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით, ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე, გულისხმობს ხემძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ს.ს. ენერგოკავშირი"-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი მოცავს პერიოდს 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე სრულყოფილი აზრის გამოსახატავად ჩვენს მიერ განხილული და შემოწმებული იქნა საანგარიშგებო დოკუმენტები. მონაცემების შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე საზოგადოების მდგომარეობა უტყუარ და სამართლიან ინფორმაციას იძლევა ფინანსური შედეგების შესახებ.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულობები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია მოდიფიცირებული (პირობითი) აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე, ასევე პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე (ასს 705).

გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგად გაიცა აუდიტორული დასკვნა არის

შპს "ჩოხი"-ს დირექტორი **გურამ ბექაური**

28 აპრილი 2021 წელი.

1. ზოგადი ინფორმაცია.

ს.ს. "ენერგოკავშირი" დაარსდა 2003 წლის 15 ოქტომბერს (აქციონერთა საერთო კრების ოქმი №1).

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, მუხიანის 1 მ/რ. კორპ. №13.

საზოგადოების საქმიანობა მოიცავს ბუნებრივი აირის შეძენას, ტრანსპორტორებას, მიწოდებას, განაწილებას და დისტრიბუციას, აგრეთვე ბუნებრივი აირის ქსელის მშენებლობას და მონტაჟს, ექსპლოატაციას, კონსალტინგს, საბილინგო სისტემის შემუშავებას და დანერგვას, საინვესტიციო საქმიანობას, სალიზინგო საქმიანობას, მცირე და საშუალო ჰიდროელექტრო სადგურების დაპროექტება-მშენებლობას, გათბობის სისტემის დაპროექტებას, მშენებლობას და დანერგვას.

საზოგადოება საქმიანობას ახორციელებს ქ.თბილისში მუხიანის და გლდანის (ნაწილში) დასახლებულ ტერიტორიაზე.

საზოგადოების სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა- ლარი, შესაბამისად მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებებში ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში.

საზოგადოების დამფუძნებელია და აქციების 100%-ის მფლობელია სააქციო საზოგადოება "ენერგოკავშირი". თითოეულ აქციონერს უფლება აქვს საზოგადოების საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები გენერალურ დირექტორს და სამეთვალყურეო საბჭოს რათა განხილული იქნას დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. საზოგადოებას უფლება აქვს შექმნას ფილიალები და წარმომადგენლობები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ინფორმაცია ს.ს. "ენერგოკავშირი"-ს აქციონერების წილების შესახებ.

№	აქციონერი	წილი პროცენტებში	შენიშვნა
1	მარიკა ნაჭღებია	8%	
2	5%-მდე წილის მფლობელი აბონენტები	92%	
3	სულ	100%	

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც სააქციო კაპიტალი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 5%-მდე წილის მფლობელ აქციონერ აბონენტებს ეკუთვნის აქციების 92%, მარიკა ნაჭღებიას 8%, სულ 100%.

1. ბალანსი:

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა				
	დასახელება	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1იანვარი
1	**აქტივები**			
2	ფული და ფულის ეკვივალენტები	897125.00	94287.00	127414
3	შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები			
4	მოთხოვნები ბანკების მიმართ			
5	სავაჭრო ფასიანი ქაღალდები			
6	წარმოებული ფინანსური აქტივები			
7	რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
8	გადახდილი ავანსები			
9	გაცემული სესხები			
10	სესხების გაუფასურების ანარიცხი			
11	მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1415.00	285	3462
12	გრძელვადიანი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები			
13	სავაჭრო მოთხოვნები	81224.00	680411	735107.00
14	რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები			
15	რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები			
16	დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები			
17	მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან			
18	საინვესტიციო ქონება			
19	ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
20	ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში			
21	წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი			
22	გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი			
23	სხვა საგადასახადო აქტივი			
24	ბიოლოგიური აქტივები			
25	სხვა მიმდინარე აქტივები	0.00	0.00	0.00
26	სხვა გრძელვადიანი აქტივები			
27	გუდვილი			
28	სხვა არამატერიალური აქტივები			
29	ძირითადი საშუალებები	2131287.00	2281669	2799292.00
30	გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები			
31	**სულ აქტივები**	**3111051.00**	**3056652**	**3665275.00**

32	**ვალდებულებები**			
33	წარმოებული ფინანსური ვალდებულებები			
34	რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით			
35	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები			
36	ფინანსური იჯარის ვალდებულება			
37	სავაჭრო ვალდებულებები	985565.00	958259	843161.00
38	სხვა ფინანსური ვალდებულებები			
39	მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება			
40	გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება			
41	გამოუმუშავებელი შემოსავალი			
42	ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
43	მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
44	გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
45	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	41353.00	32165	32541.00
46	სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები			
47	შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები			
48	მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები			
49	მიღებული გრანტები			
50	სუბორდინირებული სესხი			
51	გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები			
52	**სულ ვალდებულებები**	1026918.00	990424	875702.00
53	**საკუთარი კაპიტალი**			
54	სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	5000000.00	5000000.00	5000000.00
55	დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-სთვის)	160977.00	160977.00	160977.00
56	გამოსყიდული საკუთარი აქციები			
57	წილობრივი გადახდის რეზერვი			
58	რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი			
59	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0.00	1280117.00	1573562
60	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-3076844.00	-4374866.00	-3944966
61	სხვა რეზერვები			
62	**სულ საკუთარი კაპიტალი**	2084133.00	2066228	2789573.00
63	**სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები**	**3111051.00**	**3056652**	**3665275.00**

ს.ს. "ენერგოკავშირს" სულ აქტივები 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერიცხებოდა **3665275.00** ლარი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **3,056,652.00** ლარი და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით **3,111,051.00** ლარი, სადაც სულ საკუთარი კაპიტალისა და სულ ვალდებულებების მიმართ შესაბამისი პერიოდების ბალანსი დაცულია.

2. მოგება-ზარალი:

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები			
1		2020 წელი	2019 წელი
2	ამონაგები	5762008	5389090
3	რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-3992715	-4311351
4	ცვლილებები მზა პროდუქციის მარაგებსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		
5	გამოყენებული ნედლეული და მასალები	-57572	0
6	პერსონალის ხარჯები	-1102344	-994584
7	სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		
8	აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	-3500	-5300
9	საკონსულტაციო ხარჯი	-153	-400
10	მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი		
11	სარეიტინგო მომსახურების ხარჯი		
12	საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	-2268	-43643
13	ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	-1185	-256
14	კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	-13124	-9609
15	იჯარის ხარჯი	-15000	-15000
16	ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		
17	ცვეთა და ამორტიზაცია	-194069	-311773
18	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-362180	-175075
19	**საოპერაციო მოგება**	17898	-477901
20	**გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:**		
21	გაცემულ სესხებზე		
22	სავაჭრო მოთხოვნებზე		
23	სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებზე		
24	სხვა ფინანსურ აქტივებზე		
25	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან		
26	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		
27	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალური ღირებულებით მოგება(ზარალში) ასახვით აღრიცხული სხვა ფინანსური აქტივებიდან/ვალდებულებებიდან		
28	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან ან გადაფასებიდან		
29	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან		
30	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) აქტივების საწყისი აღიარების დროს		
31	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ვალდებულებების საწყისი აღიარების დროს		
32	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		
33	გაუფასურების ხარჯი ძირითადი საშუალებებიდან		
34	გაუფასურების ხარჯი არამატერიალური აქტივებიდან		
35	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) ბიოლოგიური აქტივების გაყიდვიდან და გადაფასებიდან		

36	გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება სხვა აქტივებზე		
37	წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) შვილობილი, მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების გაყიდვიდან		
38	მეკავშირე საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		
39	ერთობლივი საწარმოების მოგებისა თუ ზარალის წილი		
40	წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		
41	სხვა ფინანსური შემოსავალი		
42	სხვა ფინანსური ხარჯი		
43	მოგება/(ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან		
44	მიღებული დივიდენდები		
45	სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		48000
46	**მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან**	17898	-429901
47	მოგების გადასახადი		
48	**მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან**	17898	-429901
49	შეწყვეტილი ოპერაციები		
50	**მოგება/(ზარალი)**	17898	-429901
51	**სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):**		
52	*შემდგომში რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):*		
53	რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან		
54	გაყიდული რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვის რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში		
55	ფულადი ნაკადების ჰეჯირების წმინდა ეფექტი		
56	ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების:		
57	უცხოური ქვედანაყოფების ფინანსური ინფორმაციის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების წილი		
58	წილი რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვში		
59	*შემდგომში არ შეიძლება რომ რეკლასიფიცირებული იყოს მოგებაში ან ზარალში (დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/გათვალისწინებით):*		
60	უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი		-293486
61	სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვში და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).		
62	**სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):**	0	-293486
63	**მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)**	17898	-723387
64	**საბაზისო მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე:**		
65	განგრძობითი ოპერაციებიდან		
66	შეწყვეტილი ოპერაციებიდან		
67	**გაზავებული მოგება/(ზარალი) ერთ აქციაზე:**		
68	განგრძობითი ოპერაციებიდან		
69	შეწყვეტილი ოპერაციებიდან		

2019 წელს ამონაგები შეადგენს 5389090.00 ლარს, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 4,311,351.00 ლარს, პერსონალის ხარჯები გაწეულია 994,584.00

ლარით. აუდიტორის, კომუნალური, საკომუნიკაციო, საგადასახადო და იჯარის ხარჯები 74,208.00 ლარი, ცვეთა და ამორტიზაცია 311,773.00 ლარი, გაწეულია ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 175,075.00 ლარი. სულ ხარჯები 2019 წლისათვის გაწეულია 5,866,991.00 ლარი, რის შედეგად საოპერაციო ზარალი შეადგენს **429,901.00** ლარს. ამავე პერიოდში ჩატარებული სამუშაოების შედეგად წარმოიშვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი თანხით 48,000.00 ლარი. 2018 წელს განხორციელებული აღნიშნული ქონების აფასების შედეგად ცვეთა გაზრდილია და გადაფასების რეზერვის შემცირება დაფიქსირდა 293,486.00 ლარით, რამაც 2019 წელს გამოიწვია სრული ზარალი **723,387.00** ლარი.

2020 წელს ამონაგები შეადგენს **5,762,008.00** ლარს, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება **3,992,715.00** ლარს, გამოყენებული ნედლეულის და მასალების ხარჯი **57,572.00** ლარი, პერსონალის ხარჯები გაწეულია **1,102,344.00** ლარი. აუდიტორის, საკონსულტაციო, კომუნალური, საკომუნიკაციო, ჯარიმები, საგადასახადო და იჯარის ხარჯები-**229,299.00** ლარი, ცვეთა და ამორტიზაცია **194,069.00** ლარი, გაწეულია ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები **362180.00** ლარი. სულ ხარჯები 2020 წლისათვის გაწეულია **5744110.00** ლარი, რის შედეგად მიღებულია საოპერაციო მოგება **17,898.00** ლარი, რითაც საზოგადოების მიერ გადაფარულია წინა წლებში დაგროვილი ზარალი.

3. **ფულადი ნაკადები:**

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა			
1		**2020 წელი**	**2019წელი**
2	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	802,838	(33,127)
3	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
4	წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
5	სავალუტო კურსის ეფექტი		
6	**წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში**	802,838	(33,127)
7	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	94,287	127,414
8	**ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს**	897,125	94,287

წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან 2019 წელს შეადგენდა -33,127.00 ლარს, წმინდა კლება განისაზღვრა 33,127.00 ლარით, წლის დასაწყისში ფული და ფულის ექვივალენტები ერიცხებოდა 127,414.00 ლარი, ხოლო 2019 წლის ბოლოს 94,287.00 ლარი.

2020 წელს წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან შეადგენს 802,838.00 ლარს, წმინდა ზრდა განისაზღვრა 802,838.00 ლარით, ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში ირიცხება 94,287.00 ლარი, ხოლო წლის ბოლოს 897,125.00 ლარი.

4. კაპიტალი:

ფორმა N4 - 2020 წლის კაპიტალის მოძრაობა										
№	დასახელება	სააქციო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს-სთვის)	გამოსყიდული საკუთარი აქციები	წილობრივი გადახდის რეზერვი	რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სხვა რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
1	**ადრე წარმოდგენილი ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის**	5000000.00	160977.00					-3944965.00		1216012.00
2	ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი									0.00
3	გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი									0.00
4	**დაკორექტირებული ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის**	5000000.00	160977.00	0.00	0.00	0.00	0.00	-3944965.00		1216012.00
5	მოგება / (ზარალი)							-429901.00		-429901.00
6										
7	სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)									0.00

8	**მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)**	5000000.00	160977.00	0.00	0.00	0.00	1280117.00	-4374866.00		2066228.00
9										0.00
10	ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')									0.00
11	წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')									0.00
12	წილობრივი გადახდა									0.00
13	საკუთარი აქციების:									0.00
14	შესყიდვა									0.00
15	გაყიდვა									0.00
16	საწარმოთა გაერთიანება									0.00
17	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება									0.00
18	დივიდენდის გამოცხადება									0.00
19	სხვა									0.00
20	**ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის**	5000000.00	160977.00	0.00	0.00	0.00	1280117.00	-4374866.00		2066228.00
21	მოგება / (ზარალი)							-3076844.00		-3076844.00
22	სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)							0.00		0.00
24	**მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)**	0.00	0.00	0.00	0.00	0.00		-3076844.00	0.00	-3076844.00
25										0.00
26	ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')									0.00
27	წილობრივი გადახდის საფუძველზე გაზრდილი სააქციო კაპიტალი (შპს-ს									0.00

	'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')									
28	წილობრივი გადახდა									0.00
29	საკუთარი აქციების:									0.00
30	შესყიდვა									0.00
31	გაყიდვა									0.00
32	საწარმოთა გაერთიანება									0.00
33	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება									0.00
34	დივიდენდის გამოცხადება									0.00
35	სხვა									0.00
36	**ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის**	5000000.00	160977.00	0.00	0.00	0.00		-3076844.00		2084133.00

ჩხრილის მიხედვით 2019 წლის დასაწყისში საზოგადოების სააქციო კაპიტალია 5,000,000.00 ლარი, აქციონერების მიერ შეტანილი მონტაჟის ღირებულება 160,977.00 ლარი, დაგროვილი ზარალი 3,944,965.00 ლარი, სულ საკუთარი კაპიტალი შეადგენს **1216012.00** ლარს.

წლის განმავლობაში გადაფასების რეზერვის 1,280,117.00 ლარის, აქციონერების მიერ შეტანილი მონტაჟის ღირებულება 160,977.00 ლარის და დაგროვილი ზარალის 4,374,866.00 ლარის გათვალისწინებით საზოგადოების საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოსათვის განისაზღვრა **2,066,228.00** ლარით.

2020 წლის ბოლოსათვის სააქციო კაპიტალია 5,000,000.00 ლარი, აბონენტების მიერ შეტანილი მონტაჟის ღირებულება 160,977.00 ლარი, დაგროვილი ზარალი 3,076,844.00 ლარი, რის შედეგად საკუთარი კაპიტალის ნაშთი წლის ბოლოსათვის განისაზღვრა **2,084,133.00** ლარით.

5. ძირითადი საშუალებები:

ანგარიში ძირითადი საშუალებების მოძრაობის შესახებ								
№	ლარი	მიწასადენები	შენობა-ნაგებობები	ავტომობილები	აპარატურა და მოწყობილობები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა ამორტიზებადი ძირ. საშ-ები	სული
1	**თვითღირებულება:**							
ა	ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	4080572.91	0.00	87412.00	31011.00	38101.00	609627.00	4846724
ბ	შესყიდვა	48200.00	678.05	0.00	533.90	0.00	38197.86	87610

	გაყიდვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
გ	გადაფასება	1467232.85	0.00	0.00	14.19	0.00	0.00	1467248
დ	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2661540.06	678.05	87412.00	31530.71	38101.00	647824.86	3467087
ე	ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2661540.06	678.05	87412.00	31530.71	38101.00	647824.86	3467087
ვ	შესყიდვა		0.00		3228.82	1500.00	38959.33	43688
ზ	გაყიდვები	0.00	0.00		0.00	0.00	0.00	0
თ	გადაფასება		0.00	0.00		0.00	0.00	0
ი	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2661540.06	678.05	87412.00	34759.53	39601.00	686784.19	3510775
2	**ცვეთა და გაუფასურების ზარალი:**							
ა	ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1316763.00	0.00	64722.00	26147.00	33811.00	605990.00	2047433
ბ	ცვეთა წლის განმავლობაში	295737.00	135.61	4538.00	659.16	858.06	9845.17	311773
გ	ცვეთის რეგულირება გადაფასების გამო	1173788.00	0.00	0.00				1173788
დ	ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	438712.00	0.00	69260.00	26806.16	34669.06	615835.17	1185282
ე	ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	438712.00	0.00	69260.00	26806.16	34669.06	615835.17	1185282
ვ	ცვეთა წლის განმავლობაში	177826.30	108.49	3630.31	1257.42	886.47	10360.37	194068
ზ	გაყიდვები	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0
თ	ცვეთის რეგულირება გადაფასების გამო		0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0
ი	ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	616538.30	244.10	72890.31	28063.58	35555.53	626195.54	1379488
3	**საბალანსო ღირებულება**							
ა	2019 წლის 1 იანვარს	2763809.91	0.00	22690.00	4864.00	4290.00	4638.00	2799291
ბ	2019 წლის 31 დეკემბერს	2222828.06	542.44	18152.00	4724.55	3431.94	31989.69	2281804
გ	2020 წლის 31 დეკემბერს	2045001.76	433.95	14521.69	6695.95	4045.47	60588.65	2131287
4	**საბალანსო ღირებულება გადაფასების გარეშე**							
ა	2019 წლის 1 იანვარს	2763809.91	0.00	22690.00	4864.00	4290.00	4638.00	2800292
ბ	2019 წლის 31 დეკემბერს	2222828.06	542.44	18152.00	4724.55	3431.94	31989.69	2281804
გ	2020 წლის 31 დეკემბერს	2045001.76	433.95	14521.69	6695.95	4045.47	60588.65	2131287
	სულ							

თავდაპირველად ძირითადი საშუალებების შეფასება საზოგადოების მიერ ხდება თვითღირებულებით, შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით, კერძოდ აღდგენითი ღირებულების, ცვეთის და გაუფასურების გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც შემოსავალი და ხარჯები.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშება ხდება აქტივების ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან. ცვეთა გაიანგარიშება აქტივების ისტორიული ღირებულებიდან. ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშზე წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. წლის ბოლოს სწარმოებს მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში მათი კორექტირება.

დანართიდან გამომდინარე 2019 წლის დასაწყისში ძირითადი საშუალებების ნაშთი საზოგადოებას ერიცხებოდა **4,846,724.00** ლარი, წლის განმავლობაში შეძენილია 87,610.00 ლარის ძირითადი საშუალებები, შემცირებულია ძირითადი საშუალებების გადაფასების ღირებულებით 1,467,248.00 ლარით, ცვეთის ნაშთით წლის ბოლოსათვის 1,185,282.00 ლარით და 2019 წლის ბოლოსათვის ნაშთად ერიცხება **2281804.00** ლარის ძირითადი საშუალებები.

2020 წლის დასაწყისში ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შეადგენდა 3,467,087.00 ლარს, მიმდინარე პერიოდში შესყიდულია 43,688.00 ლარის ძირითადი ქონება, წლის ბოლოს ცვეთის ნაშთი შეადგენს 1,379,488.00 ლარს.

2020 წლის ბოლოს ძირითადი საშუალებების ნაშთი განისაზღვრა **2131287.00** ლარით.

6. სახელმწიფოს მიმართ გადახდები:

2020წელს სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება						
№	გადასახადის სახე	ბიუჯეტში განხორციელებული გადასახადები	ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ განხორციელებული გადახდები	მარეგულირებელი ორგანოს მიმართ გადასახადი	იმ საწარმოთა მიმართ განხორციელებული გადახდები,რომელიც სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 50%-ს აღემატება	სულ გადახდები
1	მოგების გადასახადი					-
2	სალიცენზიო და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლები					-

3	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასური			8268		8,268
4	როიალტი					-
5	დივიდენდი					-
6	„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბონუსი					-
7	ქონების გადასახადი	25500				25,500
8	საკონცესიო გადასახადი					-
9	დ.ღ.გ.	211600				211,600
10	საშემოსავლო	226457				226,457
11	სხვა.		170			170
	ჯამი	**463557**	**170**	8,268	-	**471,995**

2019 წელს სულ გადახდები განხორციელდა **471,995.00** ლარის ოდენობით. მათ შორის: ბიუჯეტში ჯამურად გადახდილია **463557.00** ლარი, საიდანაც ქონების გადასახადი შეადგენს 25,500.00 ლარს, დამატებული ღირებულების გადასახადი 211,600.00 ლარს, საშემოსავლო გადასახადი 226,457.00 ლარს. ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ განხორციელებულია გადასახადები **170.00** ლარი, ხოლო მარეგულირებელი ორგანოს მიმართ გადასახადი შეადგენს **8,268.00** ლარს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ საზოგადოება მომავალშიც განაგრძობს ფუნქციონირებას.

მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია საზოგადოებისათვის მიუხედავად იმისა, რომ მას წლების განმავლობაში დაუგროვდა ზარალი, თუმცა აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო (2020 წელი) პერიოდში მიღებილი აქვს მოგება **17898.00** ლარი.

სს „ენერგოკავშირი"

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები .

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. ს.ს.,,ენერგოკავშირი" დაარსდა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 20ოქტომბრის №1/15-53 დადგენილებით (საფუძველი: 15.10.2003 წლის აქციონერთა საერთო კრების ოქმი № 1)

საზოგადოების იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, მუხიანის 1მ/რ კორპ. №13 ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, მუხიანის 1მ/რ კორპ. №5

1.2. საზოგადოების ძირითადი საქმიანობა მოიცავს: ბუნებრივი აირის შეძენას, ტრანსპორტირებას, მიწოდებას, განაწილებას და დისტრიბუციას, აგრეთვე ბუნებრივი აირის ქსელის მშენებლობას, ექსპლუატაციას, კონსალტინგს, საბილინგო სისტემის შემუშავებას და დანერგვას. საინვესტიციო საქმიანობას, სალიზინგო საქმიანობას, მცირე და საშუალო ელექტრო სადგურების დაპროექტება-მშენებლობას, გათბობის სისტემების დაპროექტებას, მშენებლობას და დანერგვას. .

1.3. საზოგადოება წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს. მისი მარეგულირებელი ორგანო არის „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია".

1.4. საზოგადოებას შვილობილი , მეკავშირე საწარმოები და ფილიალები არ გააჩნია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. საზოგადოება წინა საანგარიშო პერიოდში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და ,,ბუღალტრული აღრიცხვის , ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად საზოგადოება გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ფასს-ის სტანდარტებზე და კვლავ აგრძელებს ზემოთ აღნიშნული სტანდარტით მუშაობას.

2.2. ვინაიდან ფასს სტანდარტებზე გადასვლის შემდეგ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა არსებითად არ განსხვავდება წინა სააღრიცხვო პოლიტიკისაგან . აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების,

მოვლენების, და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.3 კომპანიის საოპერაციო (მუშა) და საანგარიშებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი.

2.4. ს.ს,,ენერგოკავშირი"-ს მიერ 2020 წელს ანგარიშგება წარმოდგენილია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ფასს-ის შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

3.ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

1.ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №1)

2.საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას (ფორმ ა№2)

3.ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №3)

4.კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №4)

5.განმარტებით შენიშვნებს.

6. აუდიტის დასკვნას.

3.1 კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ცალ - ცალკე , პირდაპირი მეთოდით. 2020 წელს წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო შემოსავლებიდან შეადგენს 802838 ლარს ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში ერიცხება 94287 ლარი, ხოლო წლის ბოლოს 897125 ლარი.

3.2. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრების ექვივალენტების ნაშთი საანგარიშო წლის ბოლოსათვის შეადგენს 0-ს.

3.3. საზოგადოების მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მეთოდით.

